საქართველო
მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
GEORGIA
CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ134. 134230172**

თარიღი:**17/01/2023**

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“, ,,ე.ვ“ ამავე კოდექსის $85^{2}$-$85^{5}$ მუხლების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის N 01/3606 მომართვის საფუძველზე**

**ვბრძანებ**

1. შეიქმნას, სამუშაო ჯგუფი, მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, დასახლების საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების ეფექტურად გამოყენების გზებისა და პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მერის წარმომადგენლებისათვის, საკრებულოს წევრებისა და საზოგადოებისათვის შერჩეული/შემოთავაზებული პროექტების გაცნობის ხელშეწყობის მიზნით.

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

| *N* | *სახელი, გვარი* | *თანამდებობა, პოზიცია* | *ტელეფონის ნომერი.<br>mail* | *ფუნქციები* |
|---|---|---|---|---|
| *1* | ირაკლი ქურდიანი | -მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე | ***599855560*** | *პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან* |
| *2* | მაიზერ ჯაფარიძე | მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | ***599855540*** | *საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | *პროგრამის განხორციელების პროცესში* |
| ***3*** | ირაკლი ჯაჯვანი | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დამხმარე სპეციალისტი, სამშენებლო არქიტექტურულ საკითხებში | ***599332775*** | *სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება* |
| ***4*** | *ქეთევან ხარძაინი* | ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი | ***591059238*** | *ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და დასახლების საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით* |
| ***5*** | ლამარა მჭედლიანი | ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი | ***599721216***<br><br>***lanamchedliani@gmail.com*** | დასახლების საერთო კრების სხდომის მდივანი, (სხდომის ოქმის წარმოება, მიღებული შენიშვნების ან/ და განსხვავებული აზრის დაფიქსირება და ა.შ) |
| ***6*** | თემურ ნავერიანი | I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო სამსახურის უფროსი | ***599855551*** | *პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების შესახებ წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა* |
| ***7*** | ლანა გვარლიანი | II რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი | ***577204526*** | *მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, დასახლების საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციები* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | *თ მხარდაჭერა* |
| ***8*** | ლალი გულედანი | შესყიდვების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსი | ***599106441*** | *საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება* |
| ***9*** | ხატია წიკლაური | ადმინისტრაციული სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი | ***595089530*** <br> ***Gamgeoba*** <br> ***sazogadoeba@gmail.com*** | მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის გვერდის (მაგ.: Facebook-გვერდის), ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის |
| ***10*** | *ბესო გულედანი* | მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | ***599422734*** <br> ***besoguledani@yahoo.com*** | *მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | *პროგრამის განხორციელების პროცესში* |
| ***11*** | *მარიკა არღვლიანი* | ვებ-გვერდ "სვანეთინიუსის" ადმინისტრატორი | ***551815588*** | *,,სვანეთი ნიუსის" ვებ გვერდზე სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მიმდინარე ყველა პროცესის გაშუქება* |
| ***12*** | *სოსო კვიციანი* | ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი | ***551095779*** | *სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფუნქციის შესრულება* |
| ***13*** | მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში | | | |

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაიმართოს 2023 წლის 16 იანვარს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად რომელიც დანართის სახით ერთვის აღნიშნულ ბრძანებას.

4. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს დაევალოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნოს აღნიშნული ბრძანება მისი დამოცემიდან სამი დღის ვადაში, ასევე ,,სვანეთი ნიუსის" ადმინისტრატორმა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული საშუალებით ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელება, ამავე მიზნით მერის წარმომადგენლებს და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს დაევალოთ, შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში, ინფორმაციის გავრცელება რა დროსაც დაცული უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობს მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით და უზრუნველყონ მათი ჩართულობა

5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში **საპროექტო წინადადებების ფორმა** (დანართი – 1 ფურცელი) განთავსდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mestia.gov.ge;

6. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მატერიალური ფორმით ან/და ზეპირი სახით მიღება დაევალოთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურს (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი #1; ტელ: +995599721216), ადმინისტრაციული სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებას (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი #1; ტელ: +995595089530) და მესტიის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს; საპროექტო წინადადებების მიღება ასევე განხორციელდეს ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: lanamchedliani@gmail.com; gamgeobasazogadoeba@gmail.com;

7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადების მიღების ბოლოო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 31 იანვარი, სამუშაო დღის დასრულებამდე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი